

დებულება დოქტორანტურის შესახებ

გამტკიცებ:

კრიტიკული მედიცინის
ინსტიტუტის დირექტორი
აკად. (ზურაბ ხელაძე)

„-----“ „-----“ „-----“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დოქტორანტურის ძირითადი მიზანია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრის მომზადება, რომელიც მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2. კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში დოქტორანტურის მართვა და საქმიანობა ხორციელდება ამ დებულებისა და საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ შესაბამისად.

მუხლი 2. დოქტორანტურაში მიღება

1. კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში დოქტორანტურაში მიიღება მედიცინის ან ბიოლოგიის მაგისტრი, რეზიდენტურის კურსდამთავრებული, ექიმი-სპეციალისტი.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს.
3. დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობაა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის არსებობა.
4. სადოქტორო პროგრამა მიიღება წინასწარი ექსპერტიზის შემდეგ.
5. პროგრამის წინასწარ ექსპერტიზას ატარებს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის მიერ შექმნილი საექსპერტო კომისია შესაბამისი დარგის სამი სპეციალისტის შემადგენლობით.
6. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სრული ან ასოცირებული პროფესორი.
7. სადოქტორო პროგრამას და ხელმძღვანელს, აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი.
8. შეთანხმებული და დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი განთავსდება კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.
9. დოქტორანტურაში მისაღებ კონკურსს აცხადებს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი;
10. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსი მოიცავს:
 - ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,
 - ბ) გასაუბრებას სპეციალობაში.
11. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა საბუთები საკონკურსოდ მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.
12. დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.
13. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი დოკუმენტები (დანართი 1).
14. გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული პრეტენდენტი ითვლება დოქტორანტად.

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლა

1. დოქტორანტურის ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 წლით.
2. სადოქტორო პროგრამის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 180 კრედიტს (ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის მიხედვით).

3. სადოქტორო პროგრამის მოცულობის 65% მოიცავს კვლევით კომპონენტს, ხოლო 35% - სასწავლო კომპონენტს.
4. კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციის (სამეცნიერო ნაშრომის) შესრულებას, დისერტაციის ძირითადი შედეგების ამსახველ სამეცნიერო პუბლიკაციებს, მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებში და დისერტაციის დაცვას.
5. სადისერტაციო მასალების პუბლიკაციისათვის რეკომენდებულ გამოცემათა ნუსხას და სამეცნიერო ფორუმების კრიტერიუმებს სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი
6. კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილებას და დატვირთვას განსაზღვრავს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რაც დეტალურად უნდა იყოს ასახული სადოქტორო პროგრამის შესრულების გეგმა-ბარათში. ის ასევე განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განაწილებას;
7. დოქტორანტს უფლება აქვს ისარგებლოს აკადემიური და სადეკრეტო შევებულებით.
8. დოქტორანტი ყოველი აკადემიური წლის დასრულებისას წარსდგება ანგარიშით კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის წინაშე
9. დოქტორანტურის დასრულების შემდეგ დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომი.
10. სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის კვლევითი მუშაობის შედეგს და შეიცავდეს სამეცნიერო სიახლეს.
11. სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს მოქალაქის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. მას აუცილებლად უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე უცხოენოვანი ვერსია. უცხოეთის მოქალაქის მიერ სადისერტაციო ნაშრომი შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს რუსულ ან ინგლისურ ენაზე ქართული რეზიუმით.
12. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა მისი წინასწარი განხილვა (აპრობაცია) იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა.
13. ნაშრომის წინასწარ ექსპერტიზას ატარებს სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის მიერ შექმნილისაექსპერტო კომისია შესაბამისი დარგის ხუთი სპეციალისტის შემადგენლობით, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სადოქტორო პროგრამის ექსპერტიზასა და შესრულებაში.
14. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს.

**კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის
დოქტორანტურის კონკურსში მონაწილეობისათვის
წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

დანართი 1

1. განცხადება;
2. უმაღლესი განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;
3. სამეცნიერო შრომების სია (თუ კონკურსანტს გააჩნია პუბლიკაციები) თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით;

პროგრამა მკაფიოდ უნდა ასახავდეს შემდეგს:

პროგრამის ამ მონაკვეთის რეკომენდებული მოცულობა, 2, დან 3 გვერდამდე

- პროგრამაში წარმოდგენილი საკითხის თანამედროვე მდგომარეობა;
- საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;
- დაგეგმილი სამუშაოს აქტუალობის და სამეცნიერო სიახლის არგუმენტაცია;
- გამოკვლევის მიზანი.

- სამუშაოს ამოცანები;
(რეკომენდებული მოცულობა - 0.5 - 1 გვერდი);

- კვლევის მასალა და მეთოდები (სამუშაოს სარწმუნოების უზრუნველსაყოფი მეთოდების და მეთოდიკების აღნიშვნით, კვლევის სავარაუდო ღირებულების მითითებით)
(რეკომენდებული მოცულობა - 0.5 - 1 გვერდი);

- ჩასატარებელი სამუშაოს ეტაპობრივი გეგმა (წლების მიხედვით) პროგრამაში მითითებული ვადების გათვალისწინებით.

- გამოკვლევის მოსალოდნელი შედეგების თეორიული და პრაქტიკული (გამოყენებითი) ღირებულება
(რეკომენდებული მოცულობა - 0.5 - 1 გვერდი);

- დამატებითი ინფორმაცია (თუ ასეთი არის);
- პროგრამაში ციტირებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა;
- თუ ნაშრომის ფრაგმენტი სრულდება სხვა ორგანიზაციაშიც, ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობის წერილობითი დასტური მოცემული მონაკვეთის იქ შესრულებაზე.
- სამეცნიერო ხელმძღვანელი -----
(ხელმოწერა)

რეკომენდაციები პროგრამის გაფორმებისთვის

- პროგრამა იბეჭდება ფორმატზე A4 (ე.წ. თაბახის ფურცელი), დაშორება გვერდის ზედა კიდიდან - 2,5 სმ, ქვედა კიდიდან - 2 სმ, მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან - 1,5 სმ; Font-AcadNusx, შრიფტის ზომა - 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5;
- პროგრამაში ხაზგასმით უნდა გამოიყოს ზემოთ რეკომენდებული რუბრიკების დასათაურებები;
- პროგრამის გაფორმებისთვის რეკომენდებული მოთხოვნების დაუცველობის, რედაქციული და სტილისტური შეცდომების არსებობის შემთხვევაში იგი განსახილველად არ მიიღება და გადასამუშავებლად დაუბრუნდება ავტორს.

სადოქტორო კვლევის პროგრამა

თემის დასახელება _____

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი _____

მეცნიერების დარგი მედიცინა/ბიოლოგია/ფარმაცია

თემის შესრულებაში მონაწილე/თანამონაწილე დაწესებულებები და
სტრუქტურული დანაყოფები _____

სამუშაოს დაწყება _____ სამუშაოს დამთავრება _____

კვლევის დაფინანსების წყარო (-ები, საგარეუდო) - _____
